ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს
საორგანიზაციო კომიტეტი

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

2014 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ააიპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი (იურ. მისამართი: ქ.თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. №11. ს/ნ 404404211. ტელ: 2 72 22 72) აცხადებს კონკურსს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი 2015"-ის გახსნა-დახურვის ღონისძიების **პროექტის** მომზადების მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

   საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო თარიღი;
   გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნუკალური ნომერი.
   მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
   საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

2. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ (დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს).

2.1. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2014 წლის 30 ოქტომბრის 13:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №95ა.

3.საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

5.1 ინფორმაცია ანალოგიური სახის მომსახურების გაწევის შესახებ.

- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ამ სფეროში.

5.2. ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ღონისძიების პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- სცენარი
- სარეჟისორო სცენარი
- რეჟისურა
- მხატვრობა
- სცენოგრაფია
- დიზაინი
- მუსიკალური გაფორმება
- სასცენო გაფორმება
- ხარჯთაღრიცხვა

5.2.1. პროექტის შედგენისას კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი ფოტო/ვიდეო ან 3დ მასალა
- გახსნის ცერემონიალი უნდა გრძელდებოდეს არაუმეტეს 90წთ-სა, ხოლო დახურვის ცერემონიალი არანაკლებ 30წთ-სა.
- ადგილმდებარეობა : გახსნა-დახურვის ცერემონიალი გაიმართება _____
- ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილი გახსნა-დახურვის ცერემონის რეგულაციები (დანართი #2)

5.3. საკუთარი რეკვიზიტები (დანართი #1)

5.4 საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ქვითარი.

6. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

7. გამარჯვებულ კონკურსანტს გამოავლენს საკონკურსო კომისია.

7.1. შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით. შეფასების კრიტერიუმები:

- გამოცდილება - 5 ქულა (მაქს.)
- იდეა/სცენარი - 4 ქულა (მაქს.)
- ხარჯთაღრიცხვის ღირებულება - 1 ქულა (მაქს.)

8. საპრიზო ფონდი : 5 000 (ხუთი ათასი) ლარი

8.1. ანგარისწორება : მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. ორგანიზაციას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკურსი, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს მანაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

10. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ საკონტაქტო პირს: თინათინ შერაზადაშვილი მობ: 571 558090 ელ. ფოსტა: tsherazadashvili@yahoo.com წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №95ა.

დანართი #1 რეკვიზიტები

იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი: ანგარიშის

ნომერი: ტელეფონის

ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ხელმოწერა ———————————————— ბ.ა.